ხელშეკრულება

ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტში“ გაწევრიანების შესახებ

N

ქ. თბილისი **27 ივნისი, 2022 წელი**

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“** (ს/კ: 405523161; შემდგომში - „მგვ ორგანიზაცია“/„საზოგადოება“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **შალვა ახვლედიანის** სახით, და

მეორე მხრივ, [_] (ს/კ: [_]; შემდგომში - „მწარმოებელი“/“წევრი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის [_] სახით,

შემდგომში ცალ-ცალკე მოხსენიებული როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად, როგორც „მხარეები“, ნების თავისუფალი გამოვლენისა და საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და **„საბურავების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის N325 დადგენილების (შემდგომში - „ტექნიკური რეგლამენტი“) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას „მწარმოებლის“ ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტში“ გაწევრიანების შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგი პირობებით:

პრეამბულა:

- „საზოგადოება“ წარმოადგენს „ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტზე“ საბურავების ნარჩენების მართვაზე მგვ-ს ორგანიზაციის ავტორიზაციის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 23 ივნისის N2-449 ბრძანების საფუძველზე ავტორიზებულ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (შემდგომში - „მგვ“) ორგანიზაციას, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს მოპოვებული საბურავების ნარჩენების შესაბამისობის კოლექტიური სქემის განხორციელების უფლებამოსილება;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის კოლექტიური სქემა გულისხმობს ღონისძიებების სისტემას, როცა ერთზე მეტი მწარმოებელი ქმნის მგვ-ს ორგანიზაციას, რომელიც მისი წევრი მწარმოებლების რესურსებით, წილობრივი შენატანებით (რეციკლირების წინასწარი შენატანი) უზრუნველყოფს მწარმოებლების მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტებისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას და ტრანსპორტირებას შესაბამის ავტორიზებულ ობიქეტზე აღდგენის (მათ შორის, რეციკლირების) მიზნით;
- წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, „მწარმოებელი“ დარეგისტრირებულია „ტექნიკური რეგლამენტით“ გათვალისწინებულ „მგვ რეესტრში“ და გამოთქვამს სურვილს „მგვ ორგანიზაციაში“ გაწევრიანების თაობაზე, რის საფუძველზეც „მხარეები“ აფორმებენ წინამდებარე ხეშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მწარმოებლის“ „მგვ ორგანიზაციაში“ გაწევრიანება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების **საბურავების ნარჩენების** შესაბამისობის კოლექტიური სქემის განხორციელების მიმართულებით.

2. „მგვ ორგანიზაციის“ უფლებები და მოვალეობები

2.1. **„მგვ ორგანიზაცია“ ვალდებულია:**

2.1.1. „ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად უზრუნველყოს საბურავების ნარჩენების მიმართულებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის კოლექტიური სქემის დანერგვა და განხორციელება;

2.1.2. ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისად დაგეგმოს და განახორციელოს საბურავების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, სორტირება და დამუშავება ან დამუშავებისთვის გადაცემა „ტექნიკური რეგლამენტით“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს „ტექნიკური რეგლამენტით“ განსაზღვრული მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა;

2.1.3. უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე „მგვ ორგანიზაციისთვის“ დადგენილი სხვა მოთხოვნების შესრულება.

2.2. **„მგვ ორგანიზაცია“ უფლებამოსილია:**

2.2.1. „მწარმოებელს“ მოსთხოვოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რათა უზრუნველყოფილ იქნას „მგვ ორგანიზაციის“ სრულყოფილი საქმიანობა;

2.2.2. გამოითხოვოს „მწარმოებლის“ მიერ იმპორტირებული საქონლის შესახებ ინფორმაცია სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან ნებისმიერ დროს „მწარმოებლის“ წინასწარი თანხმობის გარეშე;

2.2.3. არ განახორციელოს „მწარმოებლის“ მიერ განსაზღვრული საბურავების ნარჩენების ტრანსპორტირება ან/და საბურავების ნარჩენების შესყიდვა იმ შემთხვევაში, თუ „მგვ ორგანიზაცია“ და „მწარმოებელი“ ვერ შეთანხმდებიან შესაბამისი ტრანსპორტირების ან/და საბურავების ნარჩენების შესყიდვის ღირებულებაზე.

3. „მწარმოებლის“ უფლებები და მოვალეობები

3.1. **„მწარმოებელი“ ვალდებულია:**

3.1.1. დაიცვას „საზოგადოების“ წესდება და საქართველოს კანონმდებლობით მწარმოებლისთვის დადგენილი მოთხოვნები;

3.1.2. გაუფრთხილდეს „საზოგადოების“ სახელს, საქმიან რეპუტაციას და ქონებას;

3.1.3. „საზოგადოების“ მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადოს რეციკლირების წინასწარი შენატანი მის მიერ ბაზარზე განთავსებული საბურავების წილის შესაბამისად;

3.1.4. „საზოგადოებას“ მიაწოდოს წინასწარი ინფორმაცია მისი საქმიანობის გეგმების შესახებ;

3.1.5. „საზოგადობას“ ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარუდგინოს სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობა საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული პროდუქციის შესახებ;

3.1.6. „საზოგადოებას“ ყოველკვარტალურად, ასევე, „საზოგადოების“ მიერ ნებისმიერ დროს მოთხოვნის შემთხვევაში ასეთი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული პროდუქციის შესახებ;

3.1.7. ექვს თვეში ერთხელ (1 აგვისტომდე და 1 თებერვლამდე) წარუდგინოს სამინისტროს, სსიპ - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ დადასტურებული ინფორმაცია მის მიერ იმპორტირებული საბურავების რაოდენობის (წონა, სახეობების მიხედვით ტონებში) შესახებ, მგვ რეესტრის საშუალებით (ელექტრონულად);

3.1.8. ხელი შეუწყოს საზოგადოებას თავისი საქმიანობისა და ფუნქციების განხორციელებაში;

3.1.9. სრულად მიაწოდოს საზოგადოებას ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომლის წარდგენის ვალდებულებაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეკისრება, როგორც მწარმოებელს;

3.1.10. უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით „მწარმოებლისთვის“ დადგენილი მოთხოვნების შესრულება;

3.2. **„მწარმოებელი“ უფლებამოსილია:**

3.2.1. მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების წევრთა საერთო კრებებში;

3.2.2. მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მიერ ორგანიზებულ პროგრამებში, პროექტებში, ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ საქმეებსა და სხვა ღონისძიებებში;

3.2.3. მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ და ისარგებლოს საზოგადოებაში დაცული ინფორმაციით და დაიცვას აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

3.2.4. საზოგადოების დირექტორს წარუდგინოს წინადადებები საზოგადოების საქმიანობის ფარგლებში ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა საბოლოო გადაწყვეტაც შედის საზოგადოების დამფუძნებელთა საბჭოს, წევრთა საერთო კრების ან/და დირექტორის კომპეტენციაში;

3.2.5. გავიდეს წევრობიდან „საზოგადოების“ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

4. რეციკლირების წინასაწარი შენატანი და მისი გადახდის წესი

4.1. რეციკლირების წინასწარი შენატანი განისაზღვრება „საზოგადოების“ დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რის თაობაზეც „მწარმოებელს“ ეცნობება „მგვ ორგანიზაციის“ მიერ წერილობითი (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) სახით. რეციკლირების წინასწარი შენატანის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება, ასევე, „საზოგადოების“ ვებ-გვერდზე.

4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ „მგვ ორგანიზაციის“ მიერ რეციკლირების წინასწარი შენატანი შესაძლებელია შეიცვალოს ნებისმიერ დროს, „მგვ ორგანიზაციის“ დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რის თაობაზეც „მწარმოებელს“ ეცნობება „მგვ ორგანიზაციის“ მიერ წერილობითი (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) სახით ასეთი ცვლილების განხორციელებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რეციკლირების წინასწარი შენატანის ოდენობის ცვლილება შესაძლებელია გამოწვეული იყოს ყოველწლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საჭიროებების შესაბამისად ან/და ისეთ შემთხვევაში, თუ „მგვ ორგანიზაციის“ მიერ განსაზღვრული რეციკლირების წინასწარი შენატანი არ იქნება საკმარისი „ტექნიკური რეგლამენტით“ გათვალისწინებული ხარჯების დასაფარად.

4.3. რეციკლირების წინასწარი შენატანის ოდენობა „მგვ ორგანიზაციის“ მიერ განისაზღვრება ყოველთვიურად „მწარმოებლის“ მიერ საანგარიშო თვის (იგულისხმება კალენდარული თვე) წინა კალენდარული თვის განმავლობაში „მწარმოებლის“ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის რაოდენობის შესაბამისად.

4.4. „მწარმოებელი“ ვალდებულია ყოველი საანგარიშო თვის რეციკლირების წინასწარი შენატანი „საზოგადოებას“ გადაუხადოს ყოველი საანგარიშო თვის 20 (ოცი) რიცხვამდე, წინა კალენდარული თვის ჭრილში „მწარმოებლის“ მიერ საქართველოს ბაზარზე „ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად განთავსებული საბურავების რაოდენობის შესაბამისად.

4.5. რეციკლირების წინასწარი შენატანის ყოველთვიური ანგარიშსწორების მიზნებისთვის, „მწარმოებელი“ ვალდებულია ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 13 (ცამეტი) რიცხვისა, „საზოგადოებას“ წარუდგინოს კომპანიის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი წერილობითი ანგარიში (შემდგომში - „ანგარიში“) (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) შესაბამისი კალენდარული თვის ჭრილში „მწარმოებლის“ მიერ საქართველოს ბაზარზე განთავსებული საბურავების რაოდენობის შესახებ.

4.6. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს „მგვ ორგანიზაციის“ მიერ წარდგენილი ინვოისის საფუძველზე შესაბამისი ინვოისის წარდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. „მგვ ორგანიზაცია“ ინვოისის შედგენისას ხელმძღვანელობს „მწარმოებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.6 პუნქტით გათვალისწინებული „ანგარიშის“ ან/და „მგვ ორგანიზაციის“ მიერ სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე.

4.7. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის დასრულებამდე „მწარმოებლის“ მიერ ბაზარზე ფაქტობრივად განთავსებული პროდუქციის რაოდენობა (რაც დასტურდება სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე) გადააჭარბებს რეციკლირების წინასწარი შენატანის გამოთვლისას მის მიერ ანგარიშში დაფიქსირებული პროდუქციის რაოდენობას, „საზოგადოება“ უზრუნველყოფს მისთვის რეციკლირების წინასწარი შენატანის ხელახალ დაანგარიშებას, რა შემთხვევაშიც „მწარმოებელი“ ვალდებული იქნება „საზოგადოების“ შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე „საზოგადოების“ მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს დამატებითი შენატანის გადახდა.

4.8. ამასთანავე, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, არაუგვიანეს მომდევნო წლის პირველ კვარტალში, „საზოგადოება“ უზრუნველყოფს „მწარმოებლის“ მიერ ბაზარზე ფაქტიურად განთავსებული პროდუქციის მოცულობის შედარებას გასული წლის მანძილზე ფაქტობრივად განთავსებული პროდუქციის მოცულობასთან, რის საფუძველზეც დაკორექტირდება რეციკლირების წინასწარი შენატანის ჯამური წლიური ოდენობა და „საზოგადოება“ და „მწარმოებელი“ ვალდებული იქნებიან უზრუნველყონ მიღებული სხვაობის შესაბამისად კორექტირება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში).

4.9. საზოგადოების წევრობის ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, „მწარმოებლის“ მიერ საზოგადოებისთვის გადახდილი რეციკლირების წინასწარი შენატანი არ ექვემდებარება მწარმოებლისთვის უკან დაბრუნებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ „მწარმოებელს“ სრულად არ აქვს გადახდილი შესაბამისი საანგარიშო პერიოდის რეციკლირების წინასწარი შენატანი, საზოგადოება უფლებამოსილია მას მოსთხოვოს რეციკლირების წინასწარი შენატანის დარჩენილი ოდენობის გადახდა.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, რაც მითითებულია ხელშეკრულების სათაურის ქვეშ და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

5.2. ხელშეკრულება ვადამდე შესაძლებელია შეწყდეს:

5.2.1. მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

5.2.2. ერთ-ერთი მხრის ინიციატივით, თუ ადგილი აქვს მეორე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას და ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარე არ უზრუნველყოფს მის გამოსწორებას მხარის მიერ შესაბამისი წერილობითი შეტყობინებით განსაზღვრულ დამატებით ვადაში;

5.2.3. იმ შემთხვევაში, თუ „მგვ ორგანიზაციას“ შეუწყდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული ნარჩენების მიმართულებით მწარმოებლის გაფართოებული ორგანიზაციის ავტორიზაცია;

5.2.4. „საზოგადოების“ წესდებით გათვალისწინებული „საზოგადოების“ წევრობის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის შემთხვევაში;

5.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ „მწარმოებელი“ პატივსადემი მიზეზის გარეშე გადაწყვეტს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას, ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ, ხოლო მოსალოდნელი შეწყვეტის თაობაზე „მწარმოებელმა“ „მგვ ორგანიზაციას“ უნდა აცნობოს წერილობითი სახით არანაკლებ წევრობის შეწყვეტამდე 3 (სამი) თვით ადრე.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. „მხარეები“ პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. „მხარეები“ თანხმდებიან,

რომ „მგვ ორგანიზაციის“ პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, შემოიფარგლება მხოლოდ „მწარმოებლისთვის“ მიყენებული პირდაპირი სახის ზიანის ანაზღაურებით და იგი არ მოიცავს არაპირდაპირი სახის (მათ შორის, მიუღებელი შემოსავალი) ზიანის ანაზღაურებას.

6.2. საზოგადოების წევრობის შეწყვეტის მომენტიდან საზოგადოება პასუხს აღარ აგებს გარემოს დაცვის სფეროში და ნარჩენების მართვს კუთხით მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებებზე.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ „მწარმოებელი“ დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეციკლირების წინასწარი შენატანის გადახდის ვადას, „საზოგადოება“ უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში „მწარმოებელი“ ვალდებულია „საზოგადოებას“ გადაუხადოს პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ „მწარმოებელი“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეციკლირების წინასწარი შენატანის გადახდის ვადას გადააცილებს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით, „საზოგადოება“ უფლებამოსილი იქნება განიხილოს „მწარმოებლისთვის“ წევრობის შეწყვეტის საკითხი და ამასთანავე, პირგასამტეხლოს დაკისრებასთან ერთად, ერთჯერადი ჯარიმის სახით „მწარმოებელს“ დააკისროს 20,000 (ოცი ათასი) ლარის გადახდა, ხოლო „მწარმოებელი“ ვალდებული იქნება „საზოგადოების“ მოთხოვნის შემთხვევაში გადაუხადოს „საზოგადოებას“ მოთხოვნილი ჯარიმა სრულად ასეთი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულება შეწყდება „მგვ ორგანიზაციის“ ბრალის გარეშე, „მწარმოებლის“ მიერ „საზოგადოების“ წესდებისა ან/და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე, ან/და „მწარმოებლის“ ინიციატივით, ცალმხრივად, „მგვ ორგანიზაცია“ უფლებამოსილი იქნება ერთჯერადი ჯარიმის სახით „მწარმოებელს“ დააკისროს 20,000 (ოცი ათასი) ლარის გადახდა, ხოლო „მწარმოებელი“ ვალდებული იქნება „საზოგადოების“ მოთხოვნის შემთხვევაში გადაუხადოს „საზოგადოებას“ მოთხოვნილი ჯარიმა სრულად ასეთი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.6. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსა და ჯარიმის დაკისრება წარმოადგენს „საზოგადოების“ უფლებას და არა ვალდებულებას.

7. დავების გადაწყვეტა

7.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკების საფუძველზე; დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს.

7.2. მხარეები თანხმებიან, რომ დავის სასამართლოს მეშვეობით გადაწყვეტის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ „მგვ ორგანიზაციის“ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268[1] მუხლის საფუძველზე.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. მხარეები ვალდებული არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ, დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, „მწარმოებელი“ ადასტურებს რომ გაეცნო „საზოგადოების“ წესდებას, ეთანხმება მას და გამოთქვამს მზადყოფნას დაიცვას წესდებით გათვალისწინებული პირობები.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები პერიოდულად ექვემდებარება მხარეთა მიერ გადახედვას, რა შემთხვევაშიც საქართველოს კანონმდებლობისა და ნარჩენების მართვის მიმართულებით „საზოგადოების“ საქმიანობის გათვალისწინებით, შესაძლებელია აღნიშნულ ხელშეკრულებაში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

8.4. ყველა ის საკითხი, რაც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით და რაც არის დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებასთან, დარეგულირდება ნარჩენების მართვის მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და „მწარმოებლის“ მიერ წერილობითი სახით დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე „მგვ ორგანიზაციის“ მიერ გაგზავნილი ნებისმიერი სახის შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილად და „მწარმოებლისთვის“ ჩაბარებულად.

8.6. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

8.7. ხელშეკრულება დადებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემათ მხარეებს.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„მგვ ორგანიზაცია“ **ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“** ს/კ: 405523161; იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N129 ელ-ფოსტა: info@tgp.ge საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: +995591355588 საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE14TB7638836030100001 /_____/ **შალვა ახვლედიანი** **დირექტორი**	**„მწარმოებელი“** [_] იურიდიული მისამართი: [_] ფაქტობრივი მისამართი: [_] ელ-ფოსტა: [_] საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: [_] საბანკო რეკვიზიტები: ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: [_] /_____/ **[სახელი, გვარი]** **[პოზიცია]**